

სიახლეები

პარტნიორები

ავსტრიულმა ორგანიზაცია „ჰერმეს“-მა და განვითარების შვეიცარულმა ფონდმა „აკაცია“-მ ნდობა გამოგვიცხადეს და გადაწყვიტეს საკრედიტო კავშირის საქმიანობას აქტიურად შეუწყონ ხელი იაფი სესხის გამოყოფით. რაც თავის მხრივ შესაძლებლობას გვაძლევს, დაბალპროცენტიანი სესხებით დავაფინანსოთ საინტერესო პროექტები. **EthicCapital** –ის ყველა თანამშრომელი აფასებს ამ ნდობას და გულითად მადლობას უხდის „ჰერმეს“-ს და „აკაცია“-ს.

წევრები

ჩვენ უკვე 75 ვართ. სიხარულით მივესალმებით შვიდ ახალ წევრს – კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება ჩვენს რიგებში!

საკრედიტო საქმიანობა

2012 წლის საგაზაფხულო ცნობის ფურცელში, იმ პროექტებზე მოგიყვებით, რომელთა დაფინანსებაც იმ დროისთვის შევძელით. მას შემდეგ სესხი კოოპერატივის კიდევ ათმა წევრმა მიიღო.

კრედიტები შემდეგი მიმართულებებით გაიცა: სოციალური სფერო, რეგიონალური და ეკოლოგიურად სუფთა მეურნეობა და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი პროექტები. 2012 წლის მარტიდან დაფინანსებული პროექტების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია ქვემოთ დართულ ცხრილში.

ძვირფასო წევრებო,

წინასახალწლო პერიოდი იწყება. ყველას გვსურს, ჯერ კიდევ ამ წელიწადში გასაკეთებელი საქმეები დროულად მოვაგვაროდ, ჩვენს გარშემომყოფ ადამიანებს მეტი დრო დავუთმოთ, მცირე სიხარული მივანიჭოთ და შევძლოთ დავტკბეთ საახალწლო და საშობაო სიმყუდროვით.

წელიწადის ამ ცივ დროს და დამოკლებულ დღეებს, ერთმანეთთან ურთიერთობის სითბო მეტ სინათლეს და საზეიმო, სასიამოვნო ელფერს შემატებს.

სასიამოვნო სიახლეებია ჩვენთან **EthicCapital**-შიც, რაც მომავალი წლის ოპტიმისტურ მოლოდინს გვიმძაფრებს!

დაფინანსებული პროექტები სფეროების მიხედვით

ეკოლოგიურად სუფთა მეურნეობა/პროდუქცია

<i>პროექტები</i>	<i>გაცემის თარიღი</i>	<i>თანხა GEL</i>
ბიო-დინამიური მეურნეობა: ბიოლოგიურად სუფთა მზესუმზირის შექმნა, ცივი გამოხდის მეთოდით ეკოლოგიურად სუფთა ზეთის დასამზადებლად	15.09.2011	2.700
სათესლე ნედლეულის შექმნა და ხვნა-თესვის სამუშაოები	06.01.2012	1.051
პურის შემაზე საცხობი თონის მოწყობაღორების	13.03.2012	4.200
მცირე ფერმის მოწყობა	03.04.2012	13.000
ბიო-მეურნეობის განვითარებისათვის სახლისა და ბაღის შექმნა	21.06.2012	16.000
ეკოლოგიური მევენახეობა-მელვინეობა, ქართული ჯიშის ყურძნით. მარნის მოწყობა	31.07.2012	4.000
ბიო-დინამიური მეურნეობა: ბიო-პროდუქტების სატრანსპორტო საშუალების განბაჟების საფასურის დაფარვა	09.08.2012	1.910
მეხილეობა	30.11.2012	10.050
ვაშლის ნატურალური, გაუფილტრავი წვენი წარმოება ახალგაზრდების მიერ	04.12.2012	8.000

სოციალური სფერო

<i>პროექტები</i>	<i>გაცემის თარიღი</i>	<i>თანხა GEL</i>
ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი კურსები	06.10.2011	3.000
ავტომანქანის, სატრანსპორტო საშუალების შექმნა უნარშეზღუდული პირის მომსახურებისთვის	06.04.2012	6.600
ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი კურსები და ვალდორფის სკოლის ყოველწლიური სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსია	13.08.2012	3.000

მდგრადი განვითარება

<i>პროექტები</i>	<i>გაცემის თარიღი</i>	<i>თანხა GEL</i>
მთიან რეგიონში ოჯახური სასტუმროს მოწყობა	22.11.2012	8.000
მდგრადი ტურიზმი	22.11.2012	10.000

ვრცლად პროექტების შესახებ იხილეთ: <http://ethiccapital.eu/EC/Geo/Projekte2012.html>

პუბლიკაციები

გერმანულენოვან გაზეთ „კაუკაზიშე პოსტ“-ში, რომელიც საქართველოში გამოიცემა, საკრედიტო კოოპერატივი **EthicCapital** –ის საქმიანობის შესახებ პატარა სტატია დაიბეჭდა. საქართველოში კოოპერატივები საბჭოთა ეპოქიდან არც თუ სასიამოვნო მოგონებად გვახსოვს. სტატია კოოპერატივის იდეას და **EthicCapital** –ის მაგალითზე მისი პრაქტიკულ ფუნქციონირებას ეხება. უახლოეს მომავალში ჩვენს ინტერნეტ და Facebook-ი გვერდებზე მის თარგმანს შემოგთავაზებთ.

აქტუალური ციფრები

მსესხებელი სულ: 12

სესხად გაცემული თანხა

სულ:

96 280 GEL / 45 848 EUR

წევრები: 75

საკუთარი კაპიტალი:

10 200 GEL / 4 812 EUR

ანაბარი 2 წევრისგან სულ:

450 EUR

სესხად მიღებული თანხა

სულ:

109 065 GEL / 51 446 EUR

ახალი ინტერნეტ-მისამართი და Facebook–ი

EthicCapital–ს ახალი ინტერნეტ-მისამართი აქვს. აქამდე ის მონათესავე ორგანიზაცია **EthicFinance** –თან საზიარო მისამართით სარგებლობდა. ახალი ინტერნეტ-მისამართია: www.ethiccapital.eu

გვესტუმრეთ Facebook–ის გვერდზე: <http://www.facebook.com/pages/EthicCapital/426765074017013?ref=hl>

აქ შეგიძლიათ გაცნოთ ინფორმაციას საერთაშორისო და საქრთველოს ფინანსური სექტორების სხვადასხვა სფეროების, ჩვენი მონათესავე ორგანიზაცია **EthicFinance**–ს პროექტების შესახებ, იხილოთ ფოტოები და კიდევ ბევრი საინტერესო რამ.

წევრთა სეაროთო კრება

კვირას, 18 ნოემბერს საკრედიტო კავშირის საერთო კრება შედგა. ფინჯან ყავაზე და **EthicFinance**–ის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ფარგლებში ახალგაზრდული კოოპერატივის მიერ დამზადებული ვაშლის ნატურალური, გაუფილტრავი წვენის დაგემოვნების თანხლებით განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული თემები. შეხვედრის ოქმს სურვილის შემთხვევაში სიამოვნებით გამოგიგზავნით.

ერთად გადავხედოთ 2012 წელს

2012 წელში **EthicCapital** –ის საქმიანობა წარმატებული იყო. ჩვენ უცხოელი, მნიშვნელოვანი პარტნიორების ნდობის მოპოვება შევძელით.

ასევე გვენდნენ ის ადამიანებიც, რომლებიც კოოპერატივის წევრები გახდნენ, იმისათვის, რომ მხარი დაეჭირათ საკრედიტო კავშირისთვის, ან განეხორციელებინათ საკუთარი ინიციატივა და შეექმნათ შემდგომი განვითარების შესაძლებლობა.

ჩვენი საქმიანობა, ყოველგვარი სარეკლამო მცდელობების გარეშე, იმგვარად გაფართოვდა, რომ ხმა ბევრ ადამიანს მივაწვდინეთ.

საზოგადოებესთან ურთიერთობის და პრეზენტაციის სფეროში ჩვენმა იდეებმა და საქმიანობამ ოპტიმირება განიცადა და კვლავაც ამ გზაზე ვდგევართ.

ჩვენ სიამოვნებით ვითვალისწინებთ კოოპერატივის წევრებისა და მეგობრების შენიშვნებს და ვცდილობთ, ჩვენი საქმიანობის დასახვეწად გამოვიყენოთ. მაგალითად, თავდაპირველად პოექტების გამოქვეყნებისას მსესხებლის გვარსა და სახელსაც ვასახელებდით. რამდენიმე წევრის თხოვნის შემდეგ გადავწყვიტეთ, უარი გვეთქვა კერძო პირების სახელების საჯაროდ გამოტანაზე და პუბლიკაციებში მხოლოდ პროექტებს შინაარსით შემოვფარგლულიყავით.

ჩვენ მუდმივად ვამახვილებთ ყურადღებას ჩვენი საქმიანობის საფუძვლებზე. ვცდილობთ გამოვიკვლიოთ ალტერნატიული ფინანსური იდეები ქართულ კულტურაში. ჩვენი ინსპირაციის წყაროდ ილია ჭავჭავაძის საბანკო საქმიანობა იქცა.

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკიდან ამოვკრიფეთ მისი ნააზრევი კრედიტის არსისა და დანიშნულების შესახებ, ბროშურად შევკარით და გვსურს, ის ჩვენი მსესხებლების სახელმძღვანელოდ იქცეს. ამონარიდებს ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკიდან, გერმანულენოვანი თარგმანითურთ ხშირად შეხვდებით ჩვენს პუბლიკაციებში.

კონტაქტი:

ვაჟა-ფშაველა,
VII კვარტალი,
XVIII კორპუსი,
I სადარბაზო
I სართული
0183 თბილისი

საქართველო

ტელ: (+995) 32 2 30 43 69

info@ethiccapital.eu

www.ethiccapital.eu

მზერა მომავლისკენ

ქართული კანონმდებლობა წლიური ფინანსური აუდიტის განხორციელების ვალდებულებას გვაკისრებს. მომავალი წლის მარტის თვის ბოლომდე **EthicCapital** –ის საქმიანობას ჩვენს მიერ შერჩეული აუდიტორი შეამოწმებს. დასკვნას სურვილის შემთხვევაში სიამოვნებით მოგაწვდით.

მომავალი წლისათვის ახალი სესხების გაცემა იგეგმება. გაზაფხულისთვის უკვე შემოსულია 4 წევრის მოთხოვნა თანხაზე: 30 000 ევრო.

განსაკუთრებულად გვიხარია და ველით ბატონი მარკუს ჰერმანის, ბაზელში „გემინშაფტს ბანკ“-ის ხელმძღვანელის საქართველოში სტუმრობას, რომელმაც **EthicCapital** –ის თანამშრომლებს ერთ კვირიანი ინტენსიური სამუშაო კვირის სახით, ძირითად და აქტუალურ საკითხებზე მასტერკლასის ჩატარება შემოგვთავაზა.

და ბოლოს...

...კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველა ჩვენს პარტნიორს, წევრს და თანამშრომელს!

ყველას ბედნიერ შობა-ახალ წელს, წარმატებულ 2013-ს გისურვებთ!